მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 Კ.

ქალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

	1 წ.	6 თ.		3 თ.		1 თ.	
	მ.	მ.	კ.	მ.	კ.	მ.	კ.
თბილისში.	5	2	50	1	25	—	50
თბილ. გარ.	6	3	—	2	50	—	60
საზღ. გარ.	10	5	—	3	—	1	—

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10 ს.—2 ს.; საღამოს 5 ს.—7 საათ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ: თავად-აზნაურობის სახლი, სასახლის ქ., № 117.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:
1) რა გააკეთა ძველმა სამინისტრომ და რას უნდა მოველოდეთ ახალ სამინისტროსაგან. 2) ფეოლეტონი: ზეციური მთავრობა და მისი კანონმდებლობა. 3) ღია წერილი „ლამპრის“ რედაქციის. 4) ახალი ამბები. 5) რუსეთის ქრონიკა. 6) ღია წერილი „მოსწავლე ახალგაზდობას“. 7) [illegible]

№ 14 ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ 21 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ 1906 წ. �თᲑᲘᲚᲘᲡᲘ № 14

[illegible] № 117.

რედაქცია სთხოვს ყოველგან ყველა ამგზავნაგებს, თანა-მოაზრეებს და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეიური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპეკტაკლების დადგმით, ხელის მოწერის გამართვით, და რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციაში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპონდენციები.

ᲕᲗᲮᲝᲕᲗ ᲩᲕᲔᲜ ᲐᲒᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲔᲑᲨᲘ ᲤᲣᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲚᲔᲚ ᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ ᲒᲕᲘᲒᲖᲐᲕᲜᲝᲜ ᲗᲣ ᲡᲣᲠᲗ, ᲠᲝᲛ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ ᲛᲘᲘᲦᲝᲜ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შეუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

რა გააკეთა ძველმა სამინისტრომ და რას უნდა მოველოდეთ ახალი სამინისტროსაგან.

რა გააკეთა გორემიკინის, სტოლიპინსკის და გურკოს სამინისტრომ?

რა და ის, რომ, როდესაც „დუმის“ 500 ენამ მოსთხოვა ამნისტია, მაშინ ამ სამინისტრომ მოუხშირა და მოუჩქარა ჩამოხრჩობა, დახვრეტა და ციმბირში კოლონიზაცია. როდესაც ძველ სამინისტროს მოსთხოვეს სინიდისის თავისუფლების განხორციელება, მან თავის უსინიდისობას მისცა თავისუფლება. როდესაც ძველ სამინისტროს პრესის თავისუფლება მოსთხოვეს, მაშინ მან არა თუ დაუწყო თავების ჭრა სისწრაფით ჟურნალ-გაზეთების გიდრას, რომელსაც ყველა მოჭრილი ერთი თავის მაგიერ ეზრდებოდა ორი, ორის მაგიერ სამი, არამედ მოსპო საფოსტო და სატელეგრამმო კორესპონდენციათა თავისუფლება—აკრძალა მისთვინ უსიამოვნო წერილების და დეპეშების გზავნა. როდესაც ძველ სამინისტროს მიწა მოსთხოვა გლეხობამ, მაშინ სამინისტრომ კაზაკები და სტრაჟნიკები გაუგზავნა დამშეულ გლეხობას და დაავალა მშიერი უმიწა-წყლო გლეხებს ერჩინათ მაძღარი ჯალათები ხალხისა და მისი თავისუფლებისა.

როდესაც მოთმინებიდგან გამოსულმა „დუმამ“ პროტესტი გამოუცხადა ძველ სამინისტროს და მოსთხოვა გარედ გათრევა, მაშინ გაცხარებული დუმა დაადნო და დაჭლექა მთავრობის გულცივმა პასუხმა—ისედაც რევოლიუციონურად ჭლექიანი „დუმა“ მთლად დაჭლექიანდა. ჭლექიანი არავის უყვარს.

არ შეიყვარა ხალხმაც „დუმის“ ჭლექი, რომელიც დუმამ რევოლიუციას შეჰყარა: აჯანყდა ისევ ისე პროლეტარიატი და გლეხობა: გაანადგურეს ბატონების მიდამო, გადაუწვეს მაძღართ სახლები, მოუზილეს გვერდები „სტრაჟნიკებს“, აჯანყდა ჯარი, კაზაკებმა თავიანთი უფროსი გაროზგეს გლეხის მაგივრად, რადგან ცხადად დაინახეს, რომ ამ გვარ ოპერაციას მათი მაძღარი უფროსი უფრო აიტანდა, ვინემ მშიერი გლეხი. აირია ისევ ის, მთავრობის მონასტერი. და, აი, უმაღლესმა მთავრობამ მოისურვა, чтобы Горе-мыкинъ отправился по міру мыкать свое горе о потерѣ мѣста перваго министра.

მოდის ახალი სამინისტრო, რომელსაც გაუტენია თავის პორტფელი პროექტებით, მაგრამ პროექტიცაა და პროექტიც.

რა იქნება ამ პროექტებში?

რა და ძველი საქმელი ახალი სოუსით: ამნისტია პატარა პარაგრაფში გამოთქმული და უზარმაზარი შენიშვნით ზედ დართული, ე. ი. ამნისტია სიტყვიერად ბოძებული, რეალურად განუხორციელებული იქმნება.

გლეხობას მისცემენ მიწას, მაგრამ დაადებენ ისეთს ვალს, რომელსაც მოუნდება ის მიწა, რომელსაც მთავრობა გაიმეტებს გლეხობისთვის და ამას გარედ გლეხის მუშაობის მეტი ნაწილი,

კიდევ რა იქნება პროექტებში?

რა და სიტყვის თავისუფლება მუნჯთათვის,

წერის თავისუფლება ყალმის როსკიპთათვის,

კრების თავისუფლება „ცხოვართა ფარათათვის“,

გაფიცვის თავისუფლება კაპიტალისტებთათვის,

სინიდისის თავისუფლება სოციალ-დემოკრატებისთვის და მთავრობის პრინციპით გაღენთილ უსინიდისოთათვის.

ᲐᲛᲘ.

ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „ᲚᲐᲛᲞᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ.

ჩვენ, ქუთაისის მუშები, ღრმად აღშფოთებულნი გაზ. „ლამპრის“ რედაქციის საქციელით. სიბრალულს, დიად სიბრალულს ვუცხადებთ იმ მუშებს (თუ კი მართლა ისინი მუშები არიან), რომლებიც მართლაც ჭუსინათლოო „ლამპრის“ ლოტბარობით თვითმპყრობელურად ბრძანებენ: „ანაქისტებმა გაზ. „მუშას“ სახელი გამოუცვალონო“. ამ წერილის დამწერი მუშები თუმცა ანარქისტები არა ვართ, მაგრამ ჩვენ გვაღელვებს ის შემაძრწუნებელი, მუშა ხალხის წინსვლის შემბორკავი, ის ყოველივე კულტურის და პროგრესის უარმყოფელი საშუალებანი, რომელიც ეგრე თამამად და შეუპოვრად იხმარეს გაზ. „ლამპრის“ არშიყოფითა და გაიძვერობით დამთვრალმა თბილისის რამდენიმე კაეშირის მუშებმა. ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი ქცევა მუშებისა (ვიმეორებ თუ მართლა ისინი მუშები არიან) არ არის ბუნებრივი და მათი ბრძანებითი კილოს მუქარა ნამდვილად შეგნებულ მუშის გულიდან როდია ამონახეთქი, იგია სწორედ ნაყოფი ფანატიკოსობისა, რომელიც ასე რიგად გავრცელდა ამ ბოლო დროს სოც-დემოკრატთა ლიდერების მეოხებით, თუ გინდ წარმოვიდგინოთ, რომ „ლამპრის“ მუშები ნამდვილად სოც.-დემოკრატიულად შეგნებული პირები არიან, მაშინაც ვერ დავიჯერებთ, რომ ეს შეგნება მათ ავალებდეს—უბრძანონ ამა თუ იმ რედაქციას, გაზეთს სახელი გამოვუცვალეო! ჩვენ, მუშები, უნდა ვებრძოლდეთ ყოველივე ბრძანებას, ყოველსავე ბატონობას [illegible] ეს [illegible] ერთ [illegible] შევიტ[illegible]. რომ ერთი კერპის დაშხობა და მეორის აღდგენა და მისი თაყვანისცემა მუშის ახალ ბატონ-ყმობის უღელში გაბმას მოასწავებს. ერთი ბატონის ტახტიდან გადმოყრავება და მეორის ზედ წამოსკუპება მუშათა საქმის ხელ-ახლავ დაწყება იქნებოდა. თუ დღევანდელ მყვლეფელ მტარვალთა მაგივრად გაგვიბატონდა სხვა მტარვალი სოც.-დემოკრატის, ფედერალისტის გინდ სოც.-რევოლიუციონერის სახელით, ეგ ხომ ჩვენთვის იგივე თვითმპყრობელი ბიუროკრატები იქნებიან და სხვა არაფერი! ამ რიგად ჩვენ, მუშები, ხომ ჩვენივე ხელით გამოვიპრით ყელს! ჩვენ უნდა ვცთილობდეთ ყოველივე ახალი მიმართულების და მოძღვრების გაცნობას, რამე საშუალება გვექნეს კრიტიკულად და შეგნებულად მივეახროთ ამა თუ იმ მოძღვრებას. დიდ ჩვენ ამას უნდა ვცდილობდეთ და იმას კი არ წამოვტორტლავდეთ ან ჭურივით ამოვიძახებდეთ, რასაც ზევიდან ჩამოგვძახებენ. სწორედ ასეთი შეგნების შემდეგ ჩვენ შეგვიძლიან თამამად მივემხროთ ან სივსებით დავგმოთ ესა თუ ის მოძღვრება. ჩვენ ქუთაისის მუშები, ღრმად დარწმუნებულნი ვართ, რომ დიდი უმრავლესობა ჩვენის ამხანაგებისა სავსებით ან სრულიად ვერ იცნობს ანარქისტების მოძღვრებას, ან თუ „იცნობს“ ვინმე, ისიც გაზ. „ლამპარის“ პირით, ან მეორე კლასიდან გამომხტარ „პროპაგანდისტის“ ჩაგონებით. სწორედ ასეთები უნდა იყვნენ „ლამპარის“ „პროტესტანტები“, რომელთაკ მუშის ნამდვილი ინტერესები უკუ უგდიათ და ტიმოფეევის არიყოს, გაზეთის დახურვას ან სახელის გამოცვლას ბრძანებენ. (გაზეთის სახელის გამოცვლა ხომ ტიმოფეევსაც არ უბრძანებია!) რას ამტკიცებს ეს, თუ არ შეუგნებლობას და ფანატიკოსობას?!. რასაკვირველია, ლანძღვა-გინებას არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს პრესაში და ამას არც არავის მოვუწონებთ, პირიქით, ვგმობთ სასტიკად, მაგრამ ერთი მიბრძანეთ: ვინ აიგდო სასაცილოდ ჩვენი პრესა, ვინ გახადა იგი უშვერ ლანძღვა-გინებისა და ცილის-წამების დაუსრეტელ წყაროდ? [illegible] [illegible] [illegible] [illegible]

თვალი ჩვენებურ სოც.-დემოკრატიულ პრესას: „მოგზაურს“, „სხივს“, „განთიადს“, „ელვას“ და მათ გაგრძელებას „ლამპარს“. რას წარმოადგენს ეს, უკაცრავად სიტყვაა, პრესა, თუ არა უშვერი ლანძღვა გინების ვეებერთელა მორევს? გადაათვალიერეთ ყველა ნომრები ფ. მახარაძის წერილებით დაწყებული ვიდრე თაგვ-ეშმაკის მართლა და „ლაფშ მოხეულად“ დაწერილ — კიდევ უკაცრავად — წერილებამდე და ამაში ცხადად დარწმუნდებით. ამით ჩვენ არ გვინდა გამოვესარჩლოთ ვისმე და კიდევ ერთხელ ვამბობთ უადგილო სიტყვების ხმარებას მწერლობაში. ჩვენ კარგად ვადევნებთ თვალყურს „ლამპარს“. „შრომას“ და „მუშას“ რომელიც მართლა კარგა მოზრდილი „ყუმბარით“ გაუმასპინძლდა სოც.-დემოკრატიულ „ლამპარს“ ჯ მის სულის ჩამდგმელთ, მაგრამ ისიც კარგად ვიცით. რომ ეს გამასპინძლება მოხდა სწორედ მას შემდეგ, რა, სოც.-დემოკრატებმა ანარქისტებს ქურდი და ავაზაკები უწოდეს. ჩვენ კი გვეგონა, რომ „ლამპარი„ „ნობათის“ სასტიკ კრიტიკას კრიტიკითვე უპასუხებდა, მაგრამ აი, ვხედავთ, თუ როგორი „კრიტიკა“ გაიკეთეს „ლამპრისტებმა“. ჩვენ კარგად ვიცით თუ როგორის პატიოსნებით აცნობენ სოც.-დემოკრატები ხალხს სხვა პარტიებს. მაგ., სოც.-რევოლიუციონერების და სოც. ფედერალისტების შესახებ მიტომ იმას გაიძახოდით ხალხში, რომ ამათ ბატონ-ყმობის აღდგენა საერთო (სოფელ კურსებში ქუთ. მახლობლად ეს რომ გაიგეს სოც.-დემოკრატების პირით აზნაურ გ—შვილებმა ყველანი სოც.-რევოლიუციონერთა ბანაში გადავიდნენ, აქაო და ყმებს დაგვიბრუნებენ თურმეო!). ანარქისტების შესახებ ხომ სულ იმას გაიძახოდით, რომ ესენი ნათესაობას უარყოფენ და ამბობენ, რომ დაძმამ ერთმანეთზე დაიქორწილონ, არაფერს არ ნიშნავსო! აი, სწორედ ბინძური საშუალება, აი საზიზღარი მოვლენა!

ასეთ მაგალითებს აუარებელს მოვიყვანდით, მაგრამ აქ ადგილი არაა, ახლი კი სასტიკ და ენერგიულ პროტესტს ვუცხადებთ გაზ. „ლამპარს“, რომელიც ყოვლად უშენიშვნოდ ათავსებს თავის ფურცლებზე ჩვენის ღრმა რწმენით შეუგნებელ ამხანაგების პროტესტის წერილებს და ამით ხელს უწყობს მუშებში განხეთქილების ჩამოგდებას, ნებსით და უნებლიედ ხელს უწყობს მუშების გონების დაბნელებას და არა განვითარებას.

მ. ლაღიძის ქარხნის მუშათა მინდობილობით ხელს ვაწერ მუშა კოლია ილარიონის ძე ელიაშვილი.

ამხ. «კოლხიდის» მუშათა ჯგუფის მონდობილობით, მუშა იროდი იელიანეს ძე ტყეშელაშვილი.

ი. ხაინდრავას ქარხნის მუშათა მონდობილობით ხელს ვაწერ მუშა ბესარიონ კოსტანტინეს ძე ჯანკოტაშვილი.

იოსებ აბზიანიძე მუშების მონდობილობით:

სარდიონ აბზიანიძის ქარხნის მუშების მონდობილობით, ხელს ვაწერთ, ნოე მელქისედეკის ძე ლოლაბერიძე.

ამხანაგების მონდობილობით ნოკარი ხელს ვაწერ კოსტა. ბ. ისკანდაროვი.

ამხანაგების მონდ. ნოკარი სანდრო ღლონტი.

ამხანაგების მონდობილობით ნოკარი, ვასილა იოსელიანი.

ამხანაგების მონდობილობით მუშა თეოფილე ციცაძე.

ჩემი წრის მონდობილობით, მუშა აკაკი სულავა.

ჩემი წრის მონდობილობით, ნოკრის. ხელს ვაწერ გრიგოლ კობიძე.

ახალი ამბავი

— მიხაილოვის ქუჩაზე, ერთ ახალგაზდა ვაჭართან, რომელიც უწინ ქუთაისში ცხოვრობდა და რომელმაც შემდეგ თბილისში მაღაზია გაიღო, შესულა ერთი სოც.-დემოკრატი; შეუტანია ქაღალდი და უთქვამს. ამ ქაღალდზედ ხელი მოაწერეო. ვაჭარს უკითხავს ეს რა არისო. სოც.-დემ. უპასუხნია წვრილ ვაჭრებს კრება ექნებათ და თავი უნდა მოიყაროთო, ვაჭარი დათანხმებულა და ხელი მოუწერია. გან ვაჭარს ქართული არ სცოდ... შემდეგ გამოირკვა, რომ ის ... დი, რომელზედაც ვაჭარმ... მოაწერა ყოფილა გაზეთ ... პროტესტი. აი ამ გვარად ... ნებენ ხელს პროტესტზე.

სოც.-დ-ბო! ტყუილად ... თავს და ბღაჯნით პროტ... ჩვენ თქვენის ბრძანებით ... უცვლით სახელს. ამის გარ... გვყავს ნამდვილი მუშები, ... საც სსურთ გაზეთი გამოვ... სახელით თქვენი პროტეს... ჯის საქმეა.

— დ. სურამი. 16 ივნის... ღამის 2 საათზე იუნკრების ... რულებმა მოკლეს წითელი ... ლი ნიკო ურუმბელაშვილი, ... ლიც იყო სალდათობიდან ... ლი ოქტომბრის გაფიცვების ... 19 ივნისს იგი დაასაფლავეს, ... ხალხი ნაკლებათ დესსწრო, ... ნაც ხმა გავრცელდა, რომ ... ტავი ყაზახებით იქნებაო და ... ძლოა რამე მოხდესო.

— 19 ივნისს, ციროჩნი ... პოლიციამ დაბეჭდა გადილის ... ნის მაღაზია. მიზეზი დაბეჭდ... კიდევ არ იციან.

— როგორც გადმოგვცეს ... ლისის ჯარებში დიდი მოძ... 27 მინგრელსკი პოლკი სა...

ფელეტონი

ზეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა.

(გაგრძელება) *)

ადამიანის წყვდიადით მოცულმა წარსულმა, ცხოველისაგან ცოტათი განსხვავებულ ჩვენი წინაპრების უვიცობამ დაგვიტოვა ჩვენ ისეთი გონებრივი სამკვიდრო—სარწმუნოება—რომელიც თავის სათავის ახლო არ აღემატებოდა მარცვალს, რომელიც ადამიანის წყვდიადით მოცულ ისტორიულ სათავეში, ცხოვრების პირობების მეოხებით, უხვათ ითესებოდა პირველყოფილ ადამიანის უვიცობის ნიადაგზე. დროის და სივრცის გავლენით, ისტორიის, ენათა ცვლის და ბუნების სხვა და სხვაობის გავლენის ქვეშ იცვლებოდა კაცი და მასთან ერთად მისი გონებაც—მისი უვიცობა და ცოდნა. მაგრამ სარწმუნოებრივი მარცვალი, რომელიც უხვად ითესებოდა ადამიანის უვიცობის ნიადაგზე უფრო მრავალი იყო ვინემ ქვეშმარიტების ნიადაგში ჩათესილი მარცვლები. ბოლოს და ბოლოს ის მცენარე რომელიც ადამიანის უვიცობის ნიადაგზე აღმოცენდა—სარწმუნოება—გაიზარდა ისეთ უზარმაზარ მცენარედ, რომელიც ხშირად თითქმის სავსებით ჩრდილავდა „ხეს ცნობადისა“ და დღესაც, მაშინ როდესაც ნიადაგი ხელს უწყობს, ჭლამის სულ მთლად დაბნელოს ადამიანთა გონება.

დღევანდელ საზოგადოებრივ განვითარებაში ორი ძალა ებრძვის ერთმანეთს და ცდილობენ წაგლეჯონ ხელიდგან ერთი მეორეს კაცობრივობა. ერთი მხრით მთავრობა, რა გვარიც უნდა იყოს ის, სულდგმულობს, ცხოვრობს და კვდება მიძალდებითა (благодать) ღვთისითა, მეორე მხრით კი ხალხი იბრძვის თავისი კაცობრიული იდეებისათვის. ჩვენ ისეთ ისტორიულ ხანაში ვცხოვრობთ, როდესაც მეცნიერებამ მოაგროვა მასალა ახალი ცხოვრების დასამყარებლად, მაგრამ მიუხედავათ ამისა მღვდლები და სახელმწიფო, სარწმუნოება და მთავრობა ეცილებიან ერთი მეორეს კაცობრობის ამაღორძინებელ მასალებს; ამ ორ მოცილეთა შორის სდგანან ისეთი პირები, რომლებსაც არ უნდათ წაეჩხუბონ არც ერთს, არც მეორეს; ყველა მათ წინააღმდეგ კი სდგას, ძალი საერთო მოჰირდაპირე და უარმყოფელი, ასაღორძინებლად მომწიფებული კაცობრიობა. ცხოველის და მა'მასადამე მით უფრო ადამიანის პსიხიური მდგომარეობა უფრო ძველია, ვინემ ეგრედ წოდებული მარქსის ეკონომიური ურთიერთობა, საწარმოვო ურთიერთობა და წარმოების იარაღები; ცხოველის ტვინი უფრო ძველი და უფრო ძირითადი საწარმოო იარაღია ვინემ სამეურნეო (хозяйственныя) იარაღები. ამიტომ ადამიანის გონებრივი განვითარება განისაზღვრება იმ წრით, იმ პირობებით, რომლებიც უსწორებენ დროში არა თუ ადამიანთა შორის ეკონომიურ ურთიერთობის“ დამყარებას, არამედ თვით ადამიანსაც.

„ისტორიკოსისთვის გეოგრაფია იგივეა—რაც სამყაროსთვის მზე“ (*). ყველაფერი მოძრაობს; ისტორია მოძრაობაა, მაგრამ ყველა მოძრაობას შინაარსი აქვს ყველა ისტორიას ადამიანები ჰყავს სახეში. თუ ტერიტორია არ შეიძლება ჩავთვალოთ ფაქტორად იმ მოსაზრებით, რომ მისი მოქმედების ნაყოფი განისაზღვრება ამდამიანების ბუნებასთან დამოკიდებულობით, მაშინ არც ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანი ჰქმნის თავის ბუნებას. თვით ისტორის სათავიდან დაწყებული, თუ ისტორიის სათავე აქვს, ხალხის ცხოვრების და მიწის ცხოვრების შორის არსებობს ისეთი ღრმა კავშირი, როგორც თესლის და ნიადაგის შორის; ბუნება დაუშორებელია ისტორიისაგან ისე, როგორც ფიზიკა ეთიკისაგან. იყო დრო, რომ

*) ნიგ. ბაბ. „მუშა“, № 10.

*) ნიგ. კოხლეუსი თავის წინასიტყვაობაში მისგან გამოცემულ პომპონიოს მელაის თხზულებაში.

დესაც გეოგრაფიაზე ლაპარ... დნენ და ისტორიას სწავლ... ისე, თითქოს ისტორია ჰაერზე ... ბოდეს. ადამიანების ისტორია ... ერთი მომენტი ჩვენი პლან... ცხოვრებაში.

* * *

ჰაერის და ნიადაგის გავ... რომელსაც განიცდის ადამ... რომელიც ვერ აუცდენია ადამ... ბრძოლა ბუნებასთან, იარაღ... რომელიც ადამიანმა შექმნა ... სამომქმედოთ, თვით ბუნების ... ლენით, შროშის წესი, რომ... შეგუებულია გარეშე ბუნების ... ნასთან, ცხოვრების შეგუება ბ... სხვა და სხვა პირობებთან, ... ამ შეგნებისა—ცვალებადობა ... ადამიანის ბუნებისა,—აი ის ... ტორები, რომლებიც, ერთი ... რეში გადახლართულნი მოქმ... დენ პირველ ყოფილ ადამ... ბუნებაზე, ბუნებაზე, რომ... ყველა ჩამოთვლილ ფაქტებს ... დაერთვის, როგორც ერთი ფაქ... თაგანი და ყველა ერთად-კი ... საზღვრავენ ადამიანის გონ... მიზეზობრივ დამოკიდებულებას, ... მოკიდებულებას ბუნების მოქ... ნების ურთიერთობაში, მსგავად ... დამოკიდებულებისა, რომელსაც ... ველ ყოფილი ადამიანი ხედავ... ვის მოქმედების და ამ მოქმედ... შედეგების შორის. პირველ-ყოფ... კაცი ბუნების ნამდვილი ბავშვი ... როგორც ბავშვი, სუსტი გონ...

ბის დასჯის წინააღმდეგ. მთავრობას დასასჯელი სალდათების ყარსში გაგზავნა ჰქონია ფიქრად, მაგრამ ეს აზრი ჯერ ვერ მოუყვანიათ სისრულეში.

— 19 ივნისს მამა-დავითში მირზოევის სახლის წინ რამოდენიმე ტყვიით მოჰკლეს „ტიგრანა“. მიზეზი მკვლელობისა ყოფილა როგორც ამბობენ, ლანძღვა-გინება მოკლულის მხრივ.

— ქალაქის საბჭოს ორშაბათის მორიგმა კრებამ სხეათა შორის განიხილა საკითხი ავჭალის ქუჩაზე ელექტრონის კონკის მოწყობის შესახებ. კრებაზე ასტყდა ცხარე კამათი. რამოდენიმე ხმოსნები სასტიკათ ეწინააღმდეგებოდნენ ამ საქმეს უსახელო საზოგადოებაზე გადაცემას. საბჭომ ეს საკითხი კომისიას გადასცა.

— გაიფიცენ 20 ივნისს და შესწყვიტეს მუშაობა სარაჯევის ქარხნის მუშებმა. წარადგინეს მოთხოვნილებანი ეკონომიური ხასიათისა.

— 20 ივნისს დილის 9 საათზე ტატიანის ქუჩაზე, როცა რკინის გზის არტელშჩიკს ზავიალოვს ფული მიჰქონდა ამიერ კავკასიის კომერციულს განყოფილებაში თავს დაესხნენ 5 შეიარაღებული კაცი. დასჭრეს ერთი დარაჯი, მეორე კი მოჰკლეს. გაიტაცეს 5500 მანეთი

პატრონი, ბუნებრივ მოვლენებს გულუბრყვილოდა ხსნის. ის დაუღალავად ეძებს პასუხს ყველა კითხვებზე, რომლებიც კი მოუვა თავში. რადგან მას ჯერ არ მოეპოვება ის გონებრივი ძალა, რომელსაც კაცი დღეს მეცნიერებაში ჰპოვებს, ამიტომ ის კმაყოფილდება თავისი ფანტაზიით, თავის გრძნობათა გალლიუცინაციით, აჩრდილებით, რომლებიც ირევიან მიზეზობრივ ურთიერთობას შეუჩვეველ მის გონებაში, ე. ი. მოვლენათა ურთიერთობის ისეთი ახსნით, რომელიც მას ან შიშს ჩარს სცემს ან აღვიძებს მასში აუსრულებელ, განუხორციელებელ სურვილებს. რამოდენად უფრო პირველ ყოფილია ადამიანი, იმოდენად უფრო რელიგიოზურია: უფრო სწამს, ვინემ იცის, თუ ვინმემ ეკვით შეხედა შის რწმენის საგანს, სულ მთლად გადაირევა და გაფთრდება. ამ გვარია მისი მეგობრების წრე, ამ გვარია მისი ოჯახობა, მისი კლანი, ამ გვარია ყველა ისინი, ვინც იმყოფებიან იმ გვარსავე ბუნებაში, გარეშე წრეში. მთელი კომპლექსი ცრურწმენათა, გრძნობათა გალლიუცინაციებისა, გონებრივი არა ზომიერობისა, განუხორციელებელ იმედების და სურვილებისა, ლეგენდები „ხილულ და არა ხილულ“ ქვეყნების გაჩენისა, რომლებიც გადადიან წინაპრებიდან მემკვიდრეებზე, სიტყვით ან წერით და მემკვიდრეობი-

---

მქარცველები მიიმალენ, რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიპყრეს ორი კაცი, ერთს მათგანს რევოლვერი უნახეს. თავ-დასხმის მონაწილეობაზე ორივე უარს ამბობენ.

— სათავად-აზნაურო შკოლის პედაგოგიური საბჭოს გამგე წევრებათ იქნენ არჩეული 6 კაცი. ჩიტაძე, ბოცვაძე, სურგულაძე, კარიპაშვილი თაქთაქიშვილი, და იაშვილი. ამათ უნდა აირჩიონ დანარჩენი მასწავლებლები მთელის სათავად-აზნაურო შკოლისა.

— ეს ერთი თვეა თბილისში გაფიცული არიან თამბაქოს ფაბრიკის მუშები. (მიუხედავათ იმისა, რომ ქალაქში პაპიროსი გამოილია) ადგილობრივი პაპიროსი ქალაქში თითქმის აღარ არის. მიუხედავათ ამისა ქარხნების პატრონებს კიდევ არ დაუკმაყოფილებიათ მუშათა მოთხოვნილებანი.

— ქალაქში შაქრის ფასმა აიწია. ნამეტნავათ ფასს აუწიეს მივარდნილ ქუჩებში. აქ ბევრგან 18—21 კაპ. ჰყიდიან გირვანქას.

— ხვალ ხუთშაბათს, 22 ივნისს გამოვა ახალი სახალხო გაზეთი „ᲒᲚᲔᲮᲘ“ პირველი ნომერი შემდეგის-შინაარსით. 1 გლეხი. 2 ლეკქსი. 3 მშრომელო ხალხო, შეერთდით, 4. ახლოვდება განკითხვის დღე, 5.

სავე გავლენით გადაიქცევიან უცველელ დოგმატებად, და ბოლოს ყველა ესენი წარმოადგენენ იმას, რასაც „სარწმუნოებას“, „რელიგიას“ უძახიან.

არ არის საეჭვო, რომ „ადამიანის სახელწოდების კანდიდატები“ —ძაღლი, კატა და სხვა შინაური ცხოველები—განიცდიან იმ შიშს, რომელიც იპყრობს მათ პატრონს, ისინი იმოდენად დაკავშირებული არიან სულით და გრძნობით თავიანთ პატრონებთან, რომ ისინი იმ გვარადვე, გრძნობენ შიშს მათვითნ უცნაური მოვლენის წინაშე, როგორც მათი პატრონები.

ამიტომ ყველა სარწმუნოება, განურჩევლად ცხოველების და ადამიანების, არსებითად ერთ და იმავე წყაროდგან არიან წარმოშდგარი—შიშიდგან, სიყვარულიდგან, უვიცობიდგან, სულ-ერთია წინააღმდეგი არიან სარწმუნოებანი, თუ განსხვავებული ერთი მეორესაგან. ყველა ადამიანი სცხოვრობს რთულ პირობებში, ჩაჭრილი და გატაცებულია ცხოვრების ტალღებით, მაგრამ, რადგან ყოველი ადამიანი ბუნებრივად მიისწრაფვის შეინახოს თავისი ინდივიდუალური ძალები, ამიტომ ის ეძებს თავისი ზურგის გამმაგრებელს გარეშე ბუნებაში, გარეშე პირობებში; ასე იქცევა იმიტომ, რომ უნდა სძლიოს ის შიში, რომელიც მას მოელის და ხშირად მოეგლინება კიდეკიც და

სახელმწიფო სათათბირო. 6. სათათბიროს მშრომელთა ჯგუფის პროგრამა. 7. ჩვენებური ამბები 8. რუსეთში; ა) გლეხების მოძრაობა, ბ) მუშების მოძრაობა, გ) მოძრაობა ჯარში, დ) აჰა მოვიდა მოგვი აღმოსავლეთით (ზღაპარი). ფასი №-ისა 6 კაპ. წლის დამლევამდე 1 მ. 60 კაპ. სამი თვით 80 კაპ. ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (Тифлис, саперная, 43) და წერა-კითხვის საზოგადოებაში.

— გამოვიდა ახალი კვირეული გერმანული ჟურნალი „Kaukasiche Post“ (კავკასიის ფოჩტა) შემდეგი შინაარსით:

1) ჩვენ მკითხველს, 2) პოლიტიკური მიმოხილვა, 3) სხვა და სხვა ცნობები, 4) ბელოსტოკის პოგრომი, 5) გერმანულ ახალშენებიდგან, 6) ბაქოდგან, 7) უცხოეთი, 8) ლიტერატურა და ხელოვნება, 9) გენრიხ იბსენი, 10) ახალი წიგნები, 11) გერმანელები ამიერ კავკასიაში და სხვა.

როგორც მოწინავე წერილიდგან სჩანს ორგანო იქნება დამცველი და გამომხატველი ამიერ კავკასის გერმანელთა ინტერესებისა.

ჟურნალი წლიურად ღირს თბილისში—5 მ. სხვაგან გაგზავნით 6 მ. ცალკე ნომერი 10 კ.

რუსეთის ქრონიკა

—

ნიკოლაევის მაზრაში—აგრარული არეულობაა, მომეტებულად ძლიერია ბალახოვში.

—

„ხარ. დნ.“ გლეხ-კაცების მღელვარებაზე სერდობის მაზრაში, სარატოვის გუბერნიაში, სწერს შემდეგს, ამ უკანასკნელ დღეებში გახშირდა ცეცხლის წაკიდება მემამულეების კარ-მიდამოებში: გლეხები ჩვეულებრივად, არავითარ მონაწილეობას არ იღებენ ცეცხლის ჩაქრაში, ამასთანავე გლეხები თიბავენ მებატონეების სათივეებს, ჯერ კიდე შემოუსვლელ ბურს და სხვა. აშკარად ამჩნევენ ამ უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში, რომ გლეხები უარყოფენ ყოველნაირ სამუშაოზე მემამულეებთან: გაფიცვების მნიშვნელობა დღითი დღე იზრდება, აგიტატორების დაუხმარებლათ რგი ვრცელდება ერთ სოფლიდან მეორეში და ფეხს იკიდებს იმ საზოგადოებებში, სადაც ჯერ კიდევ არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ აგრარულ მოძრაობაში.

—

დღეს კულიკოვის მინდორზე შესდგა მიტინგი „ბულოჩნიკებისა“ რიცხვით 3000 კაცამდე. აპირობდენ ფულის დარიგებას გაჭირებულ-

---

ლიც აძლევს მას, არა თუ ნაკლულ თავდავიწყების საშალებას, არამედ სრულ თავდავიწყებას. ყოველ დღიურ ცხოვრებაში ადამიანის მოქმედების წუთებს მოსდევს უმოქმედობის წუთები, სიცოცხლის მძლავრ ჩქეფას მოსდევს ძილი; მსგავსად ამისა ადამიანთა ცხოვრებაში გონების მძლავრ მოქმედებას მოსდევს ისეთი პერიოდები, როდესაც ადამიანი უარჰყოფს გონების ყოველივე მონაწილეობას, არ კმარობს გონების ამ უარყოფას და მიდის თავის უარყოფაში იქნამდი, რომ ზიზღით უყურებს ყოველივე გონიერებას და თავის არსებობის გამართლებას ეძებს იქ, სადაც ყველა—სიმართლის შეგნება შეუძლებელია სიმთვრალეში, სარწმუნოებაში. აი ამ მიდრეკილებისაგან წარმოსდგა დედამიწის ყველა ხალხებში, სადაც აქვთ ეს ჩვეულება, სიმთვრალის მოთხოვნილება, სათრობი სასმელების და გამბრუებელ საწამლავების საშვალებით. ამ სასმელებს და გონებას მამურუებელ საწამლავებს შეაქვთ უბედურება და ბედნიერთა ცხოვრებაში სასიამოვნო სხვა-და-სხვაობა: მშიერს ეჩვენება მშვენიერი ნადიმები და იმათ კი ვინც ყველას სძაგს და სძულს ესიზმრება უსაზღვრო ბედნიერება, რომელსაც ის აღწევს პატივისცემის და თაყვანების დამსახურებით.

აი სწორედ ამგვარი დაქანცულობა მოქმედებაში და ოცნებების მოთ-

ამ გვარად აიცდინოს თავიდან მოსალოდნელი უბედურება ან განახორციელოს ის სურვილები, რომლებმაც ის სავსებით შეიპყრეს.

სარწმუნოებათა წარმოების წყაროთ უნდა ვიცნათ აგრეთვე ის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის კვებისაგან, საზრდოობისაგან (отъ питанія), სახელდობ, გონებრივ განთავისუფლების მოთხოვნილება, ე. ი. გონებრივ ძალთა დასვენება გონებრივი ძალთა ხმარის შემდეგ. ამ გვარი დასვენება შეიძლება ან დასვენებით, ან დათრობით.

სიმთვრალის მიდრეკილება ადამიანში აიხსნება მისი აზრების დაღალვით. ადამიანი, როგორც მოაზრე ცხოველი იღლება მსჯელობისაგან, სხვისი მოქმედების ყურის გდებისაგან, თავისი მოქმედების შედარებით გარეშე ბუნების ურთიერთობებთან, თავისი სურვილების მოქმედებაში გაყვანისაგან და სხვა; ამ გვარ გონებრივი მუშაობის შემდეგ დასასვენებლად ის აძლევს სრულ თავისუფლებას თავის წარმოდგენათა ზღვას, რომელზედაც უხვად არის გაბნეული აგორებული, ტალღები ოცნებობისა, ქიმერებისა და სხვა ფანტომებისა; ის გაერთობა ამ გვარად მისტიკურ აზრთა თამაში, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად ხდის, ოცნებას სინამდვილედ, ეძებს სიმთვრალეს სიგიჟეში და სიკვდილშიაც-კი—სიკვდილში, რომ-

თათვის და წაკითხვას მოწოდებისა გაფიცვების კომიტეტის მიერ, მაგრამ პოლიციამ და კაზაკებმა დაშალეს მიტინგი.

13 ივნისს ბოქაულებს გამოეცხადათ, რომ ყოველიეე დახმარება გაუწიონ იმ ბულოჩნიკებს, რომელნიც აპირობენ მუშაობას და შეიპყრან ის პირნი, რომელნიც ამას წინალუდგებიან და განდევნილ იქმნან სატახტო ქალაქიდან.

—

როგორც „რეჩი“ გადმოგვცემს, 12 ივნისს გაიფიცნენ მეეზოვეები სუვოროვის უბნისა, ვასილიევის პოლიციის ნაწილის. 283 მეეზოვებმა წარუდგინეს პოლიციულ ნაწილს თავის მოთხოვნილებანი, რომლის უპირველესად იყო: განთავისუფლება მეეზოების ყოველნაირ პოლიციურ თანამდებობიდან და მიეცეთ ნება შეიკრიბნენ, რათა ილაპარაკონ თავიანთ ჭირ-ვარამზე. დიდი უარის შემდეგ ბოქაული იძულებულ იქმნა შეეწყნარებინა მათი მოთხოვნილებანი. ამ ერთი კვირის წინათ მეეზოები აპირებდენ მიტინგის გამართვას, მხოლოდ კაზაკებმა დაშალეს იგი. ეხლა მეეზოებმა გადაწყვიტეს, უფრო ენერგიულად შეუდგნენ თავიანთ საქმეს.

ხოვნილება იჩენს თავს ყველა ხალხში და ყველა ქვეყნებში, ვრცელდება სწრაფად და ადვილად პირობების და წრეების მსგავსების მეოხებით, წახედულობის, წაბაძულობის საშვალებით—მყარდება სარწმუნოება. ყველა ჯგუფი ან ხალხები მოხვდებიან ამ საერთო უმოძრაობის მოძრაობის ტალღებში, ემორჩილებიან ერთ და იმავე ვნებას, გრძნობებს, გატაცებული არიან ერთ და იმავე სევდით, ჯავრით, უიმედობით, ოცნებით, ეკსტაზით, სიგიჟით, იღრჩვებიან გონებრივად გალლიუცინაციის ზღვის ტალღებში—ასრულებენ ერთ და იმავე მოქმედებას, ითვისებენ ერთ და იმავე საქციელს და ყველა ერთად ასრულებენ თავიანთ გალლიუცინაციებს ერთ და იმავე საშვალებით — კულტით.

ამ რიგად მრავალი სარწმუნოება ისე მნიშვნელოვანი შეიქმნენ, რომ გაიჩინეს თავიანთი განსაკუთრებული აღმასრულებელი კორპორაციები, მოსამსახურეები — ქურუმები, მღვდლები და ზოგიერთებმა ღმერთები და ნახევრად ღმერთებიც კი; ამ უკანასკნელების თვითეული სიტყვას, მოქმედებას, ენესტიკულაციას ისეთი მნიშვნელობა აქვს მორწმუნეთათვის, რომ სრულებით აღარ არის საჭირო მორწმუნესთვის იფიქროს სარწმუნოებრივ კითხვებზე:

ლია წერილი „მოსწავლე ახალგაზდობას“.

მრავალი წელია მას აქეთ, რაც ბიუროკრატია დადის მსხეობით სხეულს და ფარცხავს მოსწავლე ახალგაზდობის ნორჩ გონებას და სთესავს მათ ოსსკურანტაზმის, გონებრივ სიბნელის თესლებს. დიდი ხანია, რაც მძიმე ტვირთად აწევს მოსწავლე ახალგაზდობას ბრამეთხე მაცხონე ების „მზრუნველობა“. დიდ, მრავალი წელია ამის მოწმეა და ამაზე ღაღადებს. რომ ბიუროკრატია ცდილობდა რაც შეიძლება უფრო კეერეფნა მოსწავლე ახალგაზდობა როგორც ზნეობრივად, ისე გონებრივად ამას მტკიცებად არ უნდა. ასე ხდებოდა რუსეთის იმპერიაში მოურიდებლად, დღისით-მზისით. სასწავლებელი (იგოთხე სწავლებელი) ბრამც თუ ბრ ზრუნავდა ამაზედ, რომ „ჩვენი ცხოვრების ეკვანდი“ საამურად კეფეურჩქენადეთ, ბრამედ ეოგედთვის ცდილობდა, რომ ეს „ეკვანდი“ ეერეროთ დამწყანარეთ და კამოსდმებოდა წეთი სოფელს. სამწუხაროთ, ბიუროკრატების და ტვინმეისტრების ცდას ტეეეიდან ბრ ჩეეედა, ბარიქეთ, მან ხასურველი ნაყოფი კამოიდო მათთვის: სკოდა სრულდათ მოემზადებელს კეეშვებდა და კვიშვებს „ხდატ ჩვენ, მოსწავლეებს, ცხოვრების მორეეში შესატობავთ.

ბბ, მიშოვიხედოთ კარშემა...

„მოსწავლე ახალგაზდობა ბრა-ქესტიკულაციამ, მიმიკამ და რამოდენიმე ბგერამ დაიპირა ბროვენების ადგილი. გაჩინეს ცერემონიები, რომლის დროსაც ადამიანი, როგორც კერძო პიროვენება სრულებით წაშლილია. საკმარისია დანიშნულ დროზე დაჯდეთ, ადგეთ, ხელი გაანძრიოთ, ტუჩები გაეცმაცუნოთ, სთქვათ ზოგიერთი სიტყვის პირველი მარცვალი, აიღოთ-დაიღოთ ხელები, გამობრიცოდ თვალები, შეისუნთქოთ არომატები, დაითვრეთ სხვადასხვა სასმელებით: ერთი სიტყვით საკმაოა იცხოვროთ იმოძრაოთ ისე, როგორც მღვდლები და ქურუმები გვიწესებენ უხსოვარი დროიდგან. ამ გვარად ადამიანი, კაცი ეჩვევა გადაიქცეს მბრუნავ მანქანად, იტრიალოს ისე, როგორც დერვიშმა, გაიბრუოს, გაიუგრძნობოს თავი ისე, როგორც აისსაუმ, ფაკირმა, რომლებიც სხეულში ირეპენ ნემსებს, ქინძისთავებს, გაბრუედეს ისე, რომ „ავიდეს მეშვიდ ცაზე“, როგორც მოციქული პავლე ან მაჰმადი; ადამიანის ნამდვილი, ჩვეულებრივი ცხოვრება შეცვლილია რელიგიური, სარწმუნოებრივი ოცნებით, გალლიუცინაციით, სიგიჟით.

ალი.

ტესტს აცხადებს „ნობათის“ და „მუშის“ რედაქციების წინააღმდეგ.....

სამწუხარო და საგანაღდო ის კი არ არის, რომ მოსწავლე ახალგაზდობა პროტესტს აცხადებს,—სამწუხარო ის არის, რომ „მოსწავლეების“ ვერ უდადასებია სკოდაში ნაბიძეს ტრადიციებისთვის და ვერ გადაუგდათ მათ ის მძიმე უღელი, რომელიც მაჯდაჯუნსავით აწვა მათ კისერზე და რომელსაც გონებრივი ბატონობა ქვია. ნუ თუ „დამპარში“ გაბოცხადებული „პროტესტი“ ანარქისტების წინააღმდეგ არ ამტკიცებს „მოსწავლეების“ გონებრივ სიბნელეს და სულიერ სიდატკეცეს? სამწუხარო, ამტკიცებს...

არა, ეოდლეგებო, მეტი გამჭრიახობა, მეტი გონებრივი თავისუფლება! ძირს დოგმატიზმი და გონებრივი ბატონობა! გაუმარჯოს თავისუფალ აზროვნებას!..

მოსწავლე.

დეპეშები

(პეტერბურგის სააგენტო დეპეშები).

—

პეტერბურგი. გაზ. „სვეტი“ გადმოგვცემს რომ 26 სალდათი პრეობრაჟენსკი პოლკისა უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ორიც გადმოხტა მატარებლიდან როდესაც გავიდნენ პეტერბურგის სადგურიდან და გაიქცნენ გაქცეულები ვერ უპოვნიათ.

ტოკიო. გარეშე საქმეთა მინისტრმა მოისმინა გენერალ რენნენკამფმა, რომელმაც განაცხადა, რომ რუსეთი საომრად ემზადება, ხელახალ უკმაყოფილების გამო შორეულ აღმოსავლეთში. თუ მოხსენება გამართლდა, მაშინ იაპონია მიმართავს უკიდურეს ზომებს.

იოკასლავი. მოლოგის მაზრაში გლეხებმა გალახეს მოურავი გრაფი მუსინ პუშკინი და ძალადობით წაართვეს საერებო უფროს ქალალდი, მიიღეს კონტორიდან 240 მან. უწესობა შეჩერებულია. შეეხახება ყაზახებს და სტრაჟნიკებს შორის არ ყოფილა, გლეხკაცებმა ფული დაუბრუნეს.

პოლტავა. სკლამფასოფელ ნომიის მუშები გაიფიცნენ, ... ხოვეს სამუშაო ფასის მომატ...

როსტოვი. გუშინ საათის ... ზიაში დაახრჩეს მესაათე, ... გაძარცულია.

ეკატერინოსლავი. გაიფ... მეჭრავებელ ქარხნის მუშები, ... ხოვნლება ეკონომიურია.

პროსკურაოვი, რამოდენიმე ... როტ-გამზრახველნი სოფელ ... თავს დაესხნენ მეღვინეს. ... იქვე მდგომი ერთი კაცი, ... რამოდენიმე მანეთი და მიიმ...

ვარშავა, ზამკოვის ... მოჭკლეს ოკოლოდოჩნიკი ... სოვი. იქვე ეიტნის მოედან... სიკვდილოდ დასჭრეს სტრაჟნიკ... ერთი მუშა.

ბახმუტი. გუშინ კრამატო... სადგურზე დანიშნული იყო ... ბის მიტინგი. წინააღმდეგობ... წიეს სალდათებმა. 700 მუშა ... რთა სლავიანსკისკენ სამი ტ... გასანთავისუფლებლად, მაგრამ ... ტულ იქმნენ ჯარისაგან.

კოკანი. ვილკმორში ... შვს თოფის წამლის შემწეობით ... დოდა თამბაქოსთვის მოეკიდ... გრამ წამალი აფეთქდა და ... ბავშვი დაშავდა. ქალაქში ხმ... და, რომ პროვოკატორებმა ... ქეს ყუმბარა, რომ გამოიწვიონ ... გრომი. ებრაელების წარმომ... ლებმა ძლივს დაამშვიდეს მ... ბნი.

ნოვოჩერკასკი. — გლეხ... საქმე, რომელიც მონაწილ... იღებდა აგრარულ მოძრაობაში, ... ხილულ იქნება სოფელ კამ... 150 მოწმობის თანადასწრებით

რედაქტორ-გამომცემელი
მიხეილ დიასა...

ამა ივნისს 22-დან ტფილისში გამოვა

ყოველკვირეული სახალხო გაზეთი

გ ლ ე ხ ი

გაზეთი ემსახურება მიწის მუშა გლეხობის ინტერესებს: **მიწა და თავისუფლება, მიწა მიწის მუშებს!** გაზეთი ხელს შეუწყობს მშრომელ გლეხების განვითარებას, გამოარკვევს ადგილობრივ საჭიროებას და ... ნობს რუსეთის და ევროპის გლეხობის მოძრაობას. პროლეტარიატ... გლეხობა ის მოწინავე რაზმია, ის მშრომელი კლასი, რომელიც ... ოფლით ასაზრდოებს მთელს ქვეყანას და რომელიც უმზადებს კაცობ... ობის განახლებას და ახალს, სამართლიანობასა, თანასწორობასა და ... სუფლებაზე დამყარებულს ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა: წლის დამდეგამდე **1** მან. და **60** კ., სამის თვით—**80** ცალკე № — 6 კ.

ხელის მოწერა მიიღება რედაქციაში (საპიორის ქუჩა, № 43) წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში.

(5—1) რედაქტორ-გამომცემელი ... ...

ელექტრონის სტამბა მიხეილ ექვთიმეს-ძე ხელაძისა, სოლოლაკი 3-ს ... ქ-ზე სახ. № 3.